

რედაქცია:

ფილიალი, ფილიალინი ქუჩა, № 13.

თის მომწერნი გაზეთის დასაკრებლად მოპარავენ
დაკარგულ დილის 10 საათიდან 3 საათამდე და
ამის 6-7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავ-
საზოგადოების“ წიგნის მალაზია.

დამოუკრებ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს

თისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება
ყოველდღე.

ტელეფონი № 363.

ფენიქსი

სოფელ-დღიური სახალხო გაზეთი

გაზეთის ფასი

ერთი წლით 6 მან. **მ. ბერიძე**
თითო ნომერი 10 კაპ.
თასი განცხადებისა
ხელმოწერის სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ.
მეორეზე 5 კაპ.
Редакция
„Днисть Пурцели“
Тифлисть, Фрейлинская №13
Телефонъ № 363.

„ცნობის ფურცლი“ რედაქცია

ამ თვის დამთავრება

გაზეთის სათავე-აზნ. ქარვასლაში

ქართული თეატრი

მთხარაბათს, 25 მარტი

თეატრის რეჟისორის თანაშემწეა. თამაზიშვილის სასარგებლოდ
ქართული დრამატული დასის არტისტები
ბ. ბ. ა. ავალიშვილისა და ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილე-
ობით გამართავენ წარმოდგენას
წარმოდგენილი იქნება

უკრიელ აკოუსტა

ტრაგედია 5 მოქმ. თხზ. გუტკოსი, თარგ. ი. ბაქრაძისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ჯგერაშვილისა, გამყრელიძისა, კუნდელი;
ბ. ჯგერაშვილისა, რათა ყველას მისცეს საშუალება მათი შედენისა.

დაკრებულ ფასად გაიყიდება წიგნები მხოლოდ 15 აზნად და

შემდეგ-ი ისევ წინადად ფასად გაიყიდება.

პირველი ტომი გაიყიდება 70 კ. მეორე ტომი გაიყიდება 60 კ.

მეორე „ 60 „ მეოთხე (ორი წიგნი) 1 მ. 20

და ოთხეუ ტომი ე თად 3 მანათად.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ გაეზიარებათ მხოლოდ მაშინ, თუ ფოსტის
ხარჯს გამოუგზავნიან ამხანაგობას—პირველსა, მეორესა და მესამე ტო-
მზე თეატრ-თეატრ-მეტრი კაპ. თითოეულზე, ხოლო მეოთხეზე 24 კაპ.

წიგნები ამ ფასად მხოლოდ ამხანაგობის გაოსკში იყიდება, ლო-
რის-მელიქოვის ქუჩაზე, ალექსანდროვის ბაღის თავში. (15—11)

საპაჭრო და მაღაზინი

ამაშევის ქარვასლაში № 3 და 4, შტაბის მხარე, სსრ. კავკასი-ის პარდაზირ.
მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ დღეიდან
ჩემს საფაქროში დავინიშნე

იავობა-მეჭრობა

ყოველგვარი საფარ- ჯანსაღი- ტილო-
თლო, საფარჩელო- ულა, შა- ლა, ბა-
და საქონელი- ჯეჟა- ბეჟა- სს.

ფასები ყველაფერზე ძლიერ დაკლებულია
ფასები ჩვეულებრივსა და ქარსების ფასებზე 20 და 30 პროცენტ. ნაკლებია!!
თხოვთ ყველას მოგზაინდენ და თვითონ დარწმუნდენ ჩვენის საქონ-
ლის იაფობაში, თამაშების ქარვ. № 3 და 4, შტაბის პირდაპირ.

Магазинъ Лордкипанидзе

Караванъ-сарай Тамашева, № 3 и 4, противъ Гл. штаба
НАЗНАЧЕНА БОЛЬШАЯ РАСПРОДАЖА
уступка отъ 20 до 30% сь фабричныхъ цѣнъ
(30—21) პატივისცემით ღირსიფანძე.

ქულების და შლანების სახელოსნო და მაღაზინი დ. გვახარია

ტფილისი, ღორის-მელიქოვის ქუჩა, მუსრან-პატონის სახლი

ლიდელი საქონელი სასაღებროდ მუშაობი და შლიაპები
ვაჟებისა, ქალებისა და ყმა-
იანობა! წილებისა
გადაკეთება მეფებისა ასლებზე და ნახმარის შეკეთება

ШЛЯПНАЯ МАСТЕРСКАЯ Д. Гвахария къ ПАСХЪ БОЛЬШОЙ ВЫБОРЪ ДЕШЕВИЗНА

(13—6) Шляпъ женскихъ, мужскихъ и дѣтскихъ.
Тифлисъ, Лорисъ-Меликовская ул. д. кн. Ваграціонъ-Мухранскаго.

მესაერთა სეუზადლებოდ მარტის 5-დას გაიღება

ახლოდ გაწყობილი

სლავიანის სასტუმრო

შუაბურის მახლობლად, ორბელიანის უბ-
ნის ბოლოს, სადაც წინააღმდეგობა მათი შედენისა.

მშვენიერად გაწყობილი და მორთუ-
ლი ოთახები

მაღალი, მშრალი, სინათლიანი და
მყუდრო.

ფასი: ღლიურად 50 კ. 5 მანათამდე
თვიურად 10 მ. 50 მანათამდე

СЛАВЯНСКАЯ ГОСТИНИЦА

домъ Армянской семинаріи, на Салд.
базарѣ.

Чистота и дешевизна.

პატივისცემით დამატება ხუნდაც
(30—11)

მთავრობისაგან ნება დართული პანსიონი და სასწავლებელი

მასწავლებელი ქალის

ნ. დიდებულისა

ტფილისი, მიხეილის ქუჩა, ხეჩატროვის
სახ. № 146.

ღებულებზე ზეპირად მასწავლებ-
ლად საშუალო სასწავლებლებში.

ბავშვები მიიღება სასწავლებლად
და საცხოვრებლად.

მიიღება ჯეროვან საქალბო გიმნ.
მოწვევინი სადგომად და საცხოვ-
რებლად.

პანსიონში ასწავლიან მუსიკის
(პიანოზე და კალაოზონი)

მოლაპარაკება პანსიონზე დღის
10 სათ. 3 საათამდე.

пансионъ и училище

Учительницы
Н. ДИДЕБУЛИДЗЕ

Тифлисъ, Михайловск. ул. № 146.

Принимаются дѣти женскаго пола
приходящ. и поднимъ пансіонерк.
Квартиры съ полнымъ содержані-
емъ для ученицъ гимназіи. Обуче-
ніе музыкѣ

(150—125)

ბზილის მფრანთა (ქალბის ვლანთა) გაგზავნა

მოიწვევს ბ. ბ. ტფილისის მოხარჯე
მკვიდრთ და მოქალაქეთ ქართულ
თეატრის დარბაზში (არწრუნისეულ
სათავად-აზნაურო ქარვასლაში) ტფი-
ლისის მეშინათა დეპუტატების ასარ-
ჩევად, რომლებმაც შემდეგ, რიცხ-
ვით თვითეულ უბნიდან არა ნაკლებ
10 კაცისა, უნდა ამოირჩიონ, თა-
ვის-მხრით, ქალაქ ტფილისის მეშ-
ჩანთა მთელი საზოგადოებიდან მო-
სამსახურე პირნი ტფილისის მეშჩან-
თა გამგეობისათვის მე-668 და 672

სტ. 1 მუხ. IX-სამებრ. ეს არჩენე-
ბი მოხდება ტფილისის გუბერნატო-
რის საგანგებო მინდობილებათა უფ-
როსის მოხელის თავ. ა. ა. ბებუ-
თოვის თანადასწრებით, ტფილისის
მეშჩანთა მამასახლისის ე. ე. ედიგა-
როვის თავმჯდომარეობით შემდეგს
დღეებში, დადის 10 სათზე: ამა

წლის მარტში: პირველ (გერას) გან-
ყოფილებისა—24 რიცხს; მეორე
(მამადგვითის) განყოფილებისა—26
რიცხს; მესამე (ალექსანდრეს) გან-
ყოფილებისა—28-ს; მეოთხე (სო-
ლოღაის) განყოფილებისა—30-ს;
პირიში: მეხუთე (პარასის) განყო-
ფილებისა—16 რიცხს; მეექვსე (გა-
რანცაის) განყოფილებისა—18-ს;
მეშვიდე (აგლარისა და ნავთლუდის)
განყოფილებისა—20-ს; მეშვიდე (ჩუ-
ღურეთის) განყოფილებისა—22-ს;
მეცხრე (კუკაის) განყოფილებისა—
25-ს; და მეათე (ბაღის) განყოფილე-
ბისა—30-ს. ამამრჩეულები უნდა გა-
მაცხადდნენ აღნიშნულ არჩენებზე
ქალაქის უბნების მიხედვით, თვითე-
ულ საპოლიცო განყოფილებიდან
ცალ-ცალკე, მასედეგით თავიანთის
ადგილ-საცხოვრებლისა,—და არა უგ-
ვიანეს დაწინაურდ დადის 12 საათისა,
როდესაც ისინი დაუცემულ იქნე-
ბიან, 596 (პ. 3), 599 და 600
(მეშჩ. ბ.) სტ. 1 პ. IX-ის ძალით;

შუადღის 12 საათის შემდეგ გამოც-
ხადებულ მეშჩანებს არ მიეცემათ
საარჩევანო დარბაზში არჩენებში
მონაწილეობის მისაღებად შესვლის
ნება.

ტფილისის მეშჩანთა მამასახლისის თა-
ნამდებობის აღმსრულებელი

(3—2) ე. ე. ედიგაროვი

სამკურნალო და ამბულატორია ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ივან-
ცმოფთათვის. მიიღებენ ივანცუო-
ნი: შანგანისა, ნერვების, საჭირ-
გო, აუტისა და დედათა ჯანმრ-
ფობისა.

გადამდებ სენით ივანცუოფთი არ მი-
იღებენ:

ივანცუოფთ სრულად დილის 11
საათიდან ნაშუადღევს 3 საათამ-
დე. შინაგან და ნერვების ივანცუო-
ფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია.

საქირურგო ივანცუოფობას და სი-
ფილისს ფ. პ. გარბატი.

დღეათა ივანცუოფობას მკურნალი
ქალი მ. თ. კოზანი.

თვლების ივანცუოფობას—ი. პ.
პარსაძისი.

ამბულატორიაში არის კაბინეტი,
საექიმო და საბაქტერიოლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონი-
თა მამლობისათვის და მასაჟისათვის.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.
Амбулаторія С. В. Тофурия въ Кутаисѣ.

ახალი ამბაზი

* * * სათავად-აზნაურო პანკის წე-
ვითა კრება დანიშნულია პარლის
16-ში. ეს კრება ისევ წინადადებს
არაგზე მოხდება. წარმომადგენელთა
შემოღება აღბად უნდა მოხდეს შე-
მდეგი კრებისათვის.

* * * წარმომადგენლობა სათავად-
აზნაურო პანკებში. ტფილისში მოვი-
და ცნობა, რომ სახელმწიფო რჩევას
გადაუწყვეტია წარმომადგენლობა
შემოიღონ შემდეგის წესით: ნახევა-
რი წარმომადგენელი აღირჩევიან
თავად-აზნაურობის კეთილ-შობილ
კრებისაგან და ნახევარი მსესხებლე-
ბისაგან. წევრთ დამფუძნებელთ-კი
არაერთარი ხმა არ ექმნებათ—მთ
უნდა დაუბრუნდეთ პანკის დასაარ-
სებლად დატოვებული ძირითადი
თანხა. ეს თანხა ტფილისში შეად-
გენდა თავდაპირველად 80 ათას და
ქუთაისში 400 ათას მანათს.

თუ ყოველივე ეს მართალი გამო-
დგა, მაშინ ჩვენი პანკების წესდება
ძირითადად შეიცვლება. 200—300
წარმომადგენელი ყოველსავე საქმეს
თითონ გადაწყვეტენ. აღარ მოიყ-
რის ერთად თავს 1000 და 2000
კაცი. პანკის მოგებიან სასწავლებ-
ლებისათვის და სხვა საქირებისათ-
ვის გადადებულ ფულსაც განაგებს
მხოლოდ სათავად-აზნაურო კრება,
ე. ი. ისინი, ვისაც უფლება აქვს
მარშლების აღჩევისა. ეს ცვლილე-
ბა ქუთაისის პანკს ვერაფრად დაე-
ტყობა, რადგან იქ კრება ქართვე-
ლებისაგან შედგება და მსესხებელ-
ნიც ქართველი არიან, ისე რომ



წარმომადგენლებით თითქმის ყველა ქართველები იქნებიან. აქ-კი, ტფილისში, მსესხებლები უმეტესი ნაწილი სხვა ტომის ხალხია და საფიქრებელი არის, რომ წარმომადგენელნიც ნახევრად გაიყოს: ქართველებად და უცხო თემის ხალხად.

ამას გარდა, ჩვენს თავად-ზნაურობას უბრუნებენ თითქმის ნახევარ მილიონ მანათს. თვითყულს მათგანს მოულოდნელი ფული რომ წაიღოს, ვერას შესძენს და ერთად ამოდენა კაპიტალით-კი შეიძლება დიდი საქმე გაკეთდეს. აი ამ დიდ-საქმისათვის ყველას გვმართებს ფიქრი და შრომა.

მადლ-უსამღვდელოესი ფლავიანეს მადგულება. ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა ტფილისში გადასწყვიტეს მიეგებნენ მაღალ-ყოვლად უსამღვდელოეს ფლავიანეს მცხეთაში, მიულოცონ მშვიდობით მობრძანება და გამოუცხადონ, სრულიად მზადა ვართ ხელი შევეწყოთ ქართველ ხალხში მართლმადიდებელ სარწმუნოების ქვეყნობაში განმტკიცებას და ძველ საქრისტიანო ნაშთების აღდგენას. სოფ. სტეფან-წმინდაში, ყაზბეგისა და კობის სადგურებს შუა საქართველოს ექსარხოსს მიეგებება ღვთისმონაზონი კირიონი.

მადლ-უსამღვდელოესი ფლავიანეს მოვლიან კავკასი 24 მარტისათვის. იქიდან საქართველოს ექსარხოსი, როგორც ისმის, 26 ამ თვეს ტფილისს გამოემგზავრება.

მადლ-უსამღვდელოესი ფლავიანეს მისაგებულებად გუშინ-წინ, ნაშუადღევს 2 საათზე, კავკასი გამოემგზავრნენ სიონის ტაძრას დეკანოზი მ. ელიაშვილი და მთავარ-მართებლის კანცელარიის საქმეთა მწარმოებელი ს. ს. ე. ნ. ოსეცკი.

ეროვნის საქმე ჩვენში. დუშეთიდან დეგეშით აუწყებენ გაზ. კავკას-ს: სამაზრო სათავად-ზნაურო კრებაზე უმრავლესობამ სასარგებლოდ სცნო კავკასიაში ეროვნის შემოღება.

ნ. ა. კოვალევსკაი, ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი, გუშინ-წინ დილით კავკასი გაემგზავრა მისი იმპერატორ-ბიით უმაღლესობას დიდი მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძის მისაგებებლად.

შეცდომის გასწავლება. ჩვენის გაზეთის 474 №-ში დაბეჭდილი იყო შენიშვნა, სახელდობრ „სამარცხი-ნო ხელობა და ცოცხალ საქონლით ვაჭრობა“, ბ-ნის ახირებულისა. ეს შენიშვნა თავის თავზე მიუღია ერთს ქალს, რომელსაც საითი ჰქვია და სწყენია. ჩვენ ამით ვაცხადებთ, რომ ხსენებული მანდილოსანი სრულებით არა ჰყოლია სახეში შენიშვნის დამწერს.

ქუთაისის გუბერნატორის დაბრუნება. როგორც ისმის, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენ.-ლეიტენ. მ. ი. შალიკოვი მალე დაუბრუნდება თავის სამსახურს.

ეფანის ოლქის გუბერნატორი გენ.-ლეიტ. პ. ი. ტომიჩი, როგორც ხმა დადის, ჩარიცხულია სამინისტროში.

ქალაქის არჩევნები ფოთში განზრახვა აქვთ მოახდინონ სექტემბერში.

ზოლგა გ. ნ. ივანესკის ლექსი „ტფილისის საქრებულოში“ შესახებ „პატიოსნებისა“, „პატივისა“ და „ღუღელისა“ მრავალი საზო-

ზოგადობა მიიზიდა, რომელმაც ნიქიერ ლექტორის დიდი ყურადღებით მოუსმინა.

ცოცხალი ენით და მრავალი ცხადი მაგალითით განმარტა ლექტორმა პიროვნების განვითარების ისტორია ძველს ქვეყანაში, საშუალო საუკუნოებში და ჩვენს დროში. მან შეწყნარების ღირსად სცნო მრავალი დუელი, როდესაც უკანასკნელი გამოწვეულია იმ სურვილით, რომ პატივი დაიცვან თავიანთი სიკაცხლის განწირვით; ხოლო შურის ძიებით დატყუ მორწმუნეობით გამოწვეული დუელი ლექტორმა გაჰკიცხა.

მოყვანილ იქმნა მრავალი მაგალითი, როდესაც ვითომ პატივის დასაცემად, უბატონო საქციელი უხმარნიათ. ლექტორმა ღრმა მწუხარებით ჩამოსთავლა ისეთი შემთხვევები, როცა დუელი წინააღმდეგი ყოფილა, როგორც სალი გონებისა, ისე სხვისი პიროვნების პატივისცემისა, და ელემენტარულ მოთხოვნილებათა. გულწრფელი აღფრთოვანებით ასახულებდა ლექტორი თავის აზრს და ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე, რომელმაც იგი ლექციის გათავების შემდეგ აღტაცებულ ტაშის ცემით დაასაჩუქრეს.

როგორც ამბობენ, ბ. ივანესკის განზრახვა აქვს მეორეჯერ წაიკითხოს თავისი ლექცია, რომლის შემოსავალი დანიშნულია საქველმოქმედო მიზნისათვის. („ნ. ო.“).

ბამბის ქარხანა კავკასიაში სატახტო გაზეთები იუწყებიან, რომ კავკასიაში ამ ქამად უკვე მომწიფებულია ბამბის ქარხნის დაარსების საქმე და მისი განხორციელება ახლო მომავალს ეკუთვნის. პირველი ასეთი ქარხანა დაარსებულ იქნება ბაქოში.

მასწავლებელთა და მშობლებთა მამართ. ჯერ ერთი წელიწადი არ იქმნება, რაც ჩემ მიერ შედგენილი სახელმძღვანელო საყმაწვილო წიგნი „ბავშვების მოკეთე“ გამოვიდა და ამ მოკლე ხანშივე დიდი ინტერესი და თანაგრძნობა დაბადა ამ წიგნმა ჩვენს საზოგადოებაში: აუარებელი თანაგრძნობითი გაზამხნეველი წერილები მშობლებისა (მეტადრე დედებისა) და მასწავლებლებისა და ასეთ მარჯვეთ ყიღვა წიგნებისა მოწმობენ ამას, და იძულებულსაცა მხლიან ამ თანაგრძნობის მიხედვით ამ წიგნის მეორე გამოცემა დაეიწყა. ამისათვის ვათხოვ ყველას, ვისაც კი გული ერჯის ჩვენი საყმაწვილო მწერლობისათვის, ნუ დაიშურებენ და მოამწოდონ თავიანთი შთაბეჭდილებანი და შენიშვნები ამ წიგნის შესახებ. ყველა შენიშვნას სულითა და გულით მივეგებები და შეძლებისა და გვარად ყველაფრით ვისარგებლებ. შენიშვნები შეიძლება გამოგზავნოს ან ჩემს სახელობაზე სათავად-ზნაურო სკოლაში ან „ცნობის ფურცლის“ რედაქციის სახელობაზე. ამას იმასაც დაეძენ, რომ ამ წიგნის გამომცემელმა ამხანაგობამ შესაძლოთ დაინახა სოფლის სკოლებისათვის დააკლოს ფასი, ე. ი. უფლო ეკზემპლარი 20 კაპ. და ყლიანი 25 კაპ. ვისაცა ნებადვდეს ყლიანი წიგნების დაკვეთა, ესთხოვთ; რაც შეიძლება მალე მოგემართონ, რომ ყველაფერი ჩქარა და თავის დროზე შევასრულოთ. ადრესი: Тифлиси, Типография Е. И. Хеладзе. მასწავლებლებს თავისუფლად შეუძლიან ეს წიგნი გამოაწერონ თავიანთ სკოლებისათვის, რადგანაც ეს წიგნი მოწონებულია და სახელმძღვანელოთ დადებული მთავრობას მიერ.

მასწავლებელი ალექ. ნათაძე

ბიბლიოთეკა. მასწავლებელთა და მშობლებთა მამართ. ჯერ ერთი წელიწადი არ იქმნება, რაც ჩემ მიერ შედგენილი სახელმძღვანელო საყმაწვილო წიგნი „ბავშვების მოკეთე“ გამოვიდა და ამ მოკლე ხანშივე დიდი ინტერესი და თანაგრძნობა დაბადა ამ წიგნმა ჩვენს საზოგადოებაში: აუარებელი თანაგრძნობითი გაზამხნეველი წერილები მშობლებისა (მეტადრე დედებისა) და მასწავლებლებისა და ასეთ მარჯვეთ ყიღვა წიგნებისა მოწმობენ ამას, და იძულებულსაცა მხლიან ამ თანაგრძნობის მიხედვით ამ წიგნის მეორე გამოცემა დაეიწყა. ამისათვის ვათხოვ ყველას, ვისაც კი გული ერჯის ჩვენი საყმაწვილო მწერლობისათვის, ნუ დაიშურებენ და მოამწოდონ თავიანთი შთაბეჭდილებანი და შენიშვნები ამ წიგნის შესახებ. ყველა შენიშვნას სულითა და გულით მივეგებები და შეძლებისა და გვარად ყველაფრით ვისარგებლებ. შენიშვნები შეიძლება გამოგზავნოს ან ჩემს სახელობაზე სათავად-ზნაურო სკოლაში ან „ცნობის ფურცლის“ რედაქციის სახელობაზე. ამას იმასაც დაეძენ, რომ ამ წიგნის გამომცემელმა ამხანაგობამ შესაძლოთ დაინახა სოფლის სკოლებისათვის დააკლოს ფასი, ე. ი. უფლო ეკზემპლარი 20 კაპ. და ყლიანი 25 კაპ. ვისაცა ნებადვდეს ყლიანი წიგნების დაკვეთა, ესთხოვთ; რაც შეიძლება მალე მოგემართონ, რომ ყველაფერი ჩქარა და თავის დროზე შევასრულოთ. ადრესი: Тифлиси, Типография Е. И. Хеладзе. მასწავლებლებს თავისუფლად შეუძლიან ეს წიგნი გამოაწერონ თავიანთ სკოლებისათვის, რადგანაც ეს წიგნი მოწონებულია და სახელმძღვანელოთ დადებული მთავრობას მიერ.

სამეცნიერო ცნობა

სისხლი და მისი მნიშვნელობა*)
კრუ-მორწმუნებანი სისხლის შესახებ.—სისხლის ბურთების პოვნა.—წითელი ბურთები —კაცისა და ცხველთ სისხლის ფერი. რკინა სისხლში — თვითი ბურთები.—დამნაშავეს აღმოჩენა სისხლის წყალბადით.—ავადმყოფი სისხლი.—სისხლის გამოშვება.—სისხლი წყაროა ცხოველებისა.

ვის არ უნახავს სისხლი და ვინ არ იცის იგი, მაგრამ მიუხედავად ამისა იმდენი ცრუ-მორწმუნეობაა ხალხში გავრცელებული მის შესახებ, რომ მეტი აღარ შეიძლება. სისხლს სასწაულ-მომქმედს ძალას აწერენ და უმეტეს ხალხთა ფანტაზიამ მთელი ცრუ-მორწმუნეობანი შეჰქმნა მის შესახებ. ერთი უძველესი ბრძენთაგანი ამბობდა: სისხლშია ჩვენი სული დამალული, მეორემ კი იღვე უფრო გაუსწრა მას, იგი ამბობდა, სული თვით სისხლი არის. მღაბიო, უმეტესი ხალხი ამბობს, ეშპაი ხელ-შეკრულობის ქაღალდს ხალხთან სისხლით სწერსო, რადგან ამგვარად დაწერილი ხელ-შეკრულობა დაურღვეველიაო. ზღაპრებსა და ლეგენდებში არა ერთხელ არის მოხსენებული, რომ ღვებები დამოხილების დროს ღვიოში რამდენიმე წვეთს ერთმანეთის სისხლისას უშვებენ და ისე სვამენო, რათა მათი

მეგობრობა უფრო მტკიცე და შეუწყველი იყოსო. ჩვენში ხალხსა სჯერა, ვითომ ურეები ქრისტიანთა ბავშვების სისხლსა ჰმარობდნენ, რაც, რასაკვირველია, მართალი არ არის და მხოლოდ უმეტესთა ფანტაზიის ნაყოფია. მაგრამ ის-კი ყოველს ექვს გარეშეა, რომ მრავალნი ჯადოსანნი და შუა საუკუნეთა ბრძენნი აღქმებიკონი დიდად ჰმარობდნენ სისხლს, გვრედ წოდებულის სიკაცხლის ელექსირის გასაქმებლად, რომელსაც ვითომ სიყრმე უნდა დაებრუნებინა მოხუცთათვის.

ლაღად მოსიერნე ველური სძლედა თუ არა თავისს მძლავრს მოწინააღმდეგეს, მაშინვე ეწაფებოდა ჯერ ისევ გაუცხვებელს სისხლს, რათა სისხლთან ერთად გადასულიყო მასში მოწინააღმდეგის ვაჟკაცობა, ძალა და მედგრობა. დამნაშავემ ცდომილი რომელი სისხლით ცდილობდა გადერეცხა თავისი ცოდვანი, საქონლის სისხლით ითხერებოდა თავი. დგან ფეხებამდის სრულიად გულდამწევიდებული, რომ იგი გაჰბანს მას ცოდვათაგან. „მის ძარღვებში კეთილშობილური სისხლი სჩქევსო“, არა იშვიათად ვამბობთ ჩვენც ზოგიერთ დიდ-სულოვან, ძლევა-მოსილ გვამთა შესახებ და ამ გვარად მისი სულის სისპეტაკე გადაგვაქვს სისხლზედ, თითქმის იმ მსოფიან ბრძნის მიხედვით, რომელიც სისხლსა და

„კეთილ-შობილური ჰაერი სჩქევს მის ძარღვებშიო“, ამბობდნენ ძველი დროის სახელგანი ექიმნი ჰეროფილი და ერასტრატე, რადგანაც ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სისხლი კი არა, ჰაერია ჩვენს ძარღვებშიო. ხშირად ჩვენც ვამბობთ ხოლმე, იმ კაცს სისხლი უღელსო, როდესაც გვინდა ვინმე დავახსიათოთ. ეს კილევ არაფერია, მრავალთ კილევ ჰგონიათ, ვითომ ზოგს პატიოსნური სისხლი აქვთ, ზოგს კი არა, ზოგს ცივი, ზოგს ცხელი, ასე, რომ ფრანგებს სხვანაირი სისხლი აქვთ, რუსებს სხვანაირი და ქართველებს კილევ სხვანაირი. აქედგან კილევს დასკვნა გამოჰყავდათ, რომ მხოლოდ სისხლით განირჩევიან ხალხნი ერთმანეთიდან. აქ კილევ ვიღაც ფრანკუზი გამოვიდა პოეტ-პანტაზიორი და ამტკიცებდა, ვითომ ფრანგებს წითელი სისხლი აქვთ, გერმანელებს ცის ფერი და სხვა.


არ ჩამოვთვლით ყველა მას, რაც უმეტესთა ფანტაზიამ შეჰქმნა სისხლის შესახებ. ბევრი დრო გავიდა და ბევრი შრომა-ჯაფა მოღწა კაცობრიობას ამ ჯანყ ბურუსის გასაფანტად, სიმათლის აღმოსაჩინად, გასათვალისწინებლად. ბოლოს ხანგრძლივმა კვლევა ძიებამ მაინც თავისი გაიტანა და შეიგნო სისხლის ვითარება-ხასიათი, იმ მანქანების დახმარებით, რომელსაც მიკროსკოპი

მანქანება საშუალებას გვაძლევს მთელი სისრულით დავინახოთ ის საგნები, რომელთა გარეგნად კაცს უბრალო თვლით არ შეუძლიან. საკვირველიც არ არის! მას შეუძლიან ყოველივე საგანი 2,000 ჯერ გააღიდოს, მაგრამ მაინც კილევ ზოგიერთი საგნები იმდენად პატარანი არიან, რომ ქვიშის ოდნავაც კი ვერ ნოსჩანან.

სისხლი რომ წითელია, ეს ყველამ კარგად იცის; აგრეთვე ზოგიერთ ცხოველებისაც ძროხისა, ცხენისა, ძაღლისა, ფრინველისა, ბაყაყისა და სხვ. მაგრამ ყველა ცხოველებს კი წითელი არა აქვთ სისხლი. განა თვით კაცთაც, ზოგს ბრწყინვალე აღის ფერი აქვს, ზოგს მუქ. წითელი, ან-და მოყვითლო. ესთქვით, ცოტადენი სისხლი სდგას ქიაში, ზევადამ რომ დახედოთ მას, მუქი წითელი გეჩვენებათ; მიიტანეთ ახლა სანთელთან და იმ მხრიდან შეხედეთ, რომელიც სანთლისავენ არ არის მაქცეული—სისხლი მომწვანოთ გეჩვენებათ. საყურადღებოა ამისათავე, სუსტ, ფაქიზ ხალხს უფრო ნათელი სისხლი აქვს, ვინემ მაგარის, ჯან-მთელის აგებულობისას. ასეთია კაცისა და ზოგიერთ ცხოველთა სისხლი, რაცა შეეება მწერებს, ქია ღუებს და კიბოებს, მათი სისხლი უფერულია, ან კილევ მომწვანო და ცისფერი. როგორცა ვხე-

არ არის. მაგრამ, როგორც ეხლა, ძველადაც მრავალთ ეგონათ, რომ სისხლი თხელი რამ არისო და მხოლოდ იტალიის გამოჩენილმა მსწავლულმა მარცელი მალპიგიმ ამ 250 წლის წინად აღმოაჩინა მასში პატარა ბურთები, მიკროსკოპის დახმარებით. მაგრამ მალპიგი ვერ მიხვდა მის მნიშვნელობას და მხოლოდ შემდეგში მსწავლულმა, ანტონ ლევენჰუკმა აღმოაჩინა, რომ ამ ბურთებისაგან შესდგება ყოველი სისხლი. ახლა ვიკითხოთ, რა არის ეს სისხლის ბურთები? ამისათვის კი საქიროა ჩვენც მივმართოთ იმ საკვირველ მანქანას—მიკროსკოპს. ერთ წვეთ სისხლისას უნდა მიუმატოთ წყალი და ისე დავაკვირდეთ მიკროსკოპით. აღმოჩნდება, რომ იმ წმინდა წყალში, რომელიც ერთს წვეთ სისხლს მიუმატეთ, აუარებელი რიცხვი მოყვითანო ბურთებისა დასკურავენ წყალში. წყალი აქ იმიტომ მიეღობა, რათა ბურთები განკალცალკევებულიყვნენ და უკეთესად დაგვეჩინა, რადგანაც სისხლში იმდენი ბურთებია, რომ მათი გარჩევა ვერცკი შეიძლება.

აღმოაჩინეს თუ არა ეს ბურთები მსწავლულები ახლა მის ძიებას შეუდგენ, რას წარმოადგენს თვით ბურთები და რას აკეთებენ სისხლში. ზოგიერთი ცრუ-მამტი ამტკიცებდა, რომ ეს ბურ-



მედიტაციის „კრედიტო“. რომელიც ამბობენ, ამ „ანგარიშის გაწევის“ შემდეგ დიდხალი ვალი დაეკრება. ამ ვაჭარბატონებს ბანკისა და ჩვენი ბრალი, თორემ სხვას რა უნდა იკითხოს ისევ საწყის მუშა ხალხმა, რომლებსაც იმავალ ფული ერგება და სწორედ ის არის მიზეზი, რომ ამ ზემო სხეულში „მუშების ფულისთვის“ ყოველ დღე ნახევარი კიათურელი, ან კესტაფონელ წვრილ მწარმოებლებს, მსხვილ ბოზოლთა მწარმოებლების, ანტორის კარბთან ატუნულებს, რომლებიც ევედრებიან ფულის მოკლებას, ურომლისოდან ვერ შედგენს ხალხში დაბრუნებას, რადგანაც მუშები ელოდებიან დღე და ღამ... არც მიკიტებს სძინავთ: დაუდგიათ ღამის ქონით (პატივი ამ მარხვას) გაღებული „ჩოტი“ და გააქვთ ჩხა-ჩხუკი... მატულობს ბერძნების და ბერძნული ღვინოები და მატულობს ბერძნებთან ნახარჯიც. ხშირად თითოეული ამ „დაბრების“ წყალობით 15—30 დღემდე რჩებიან და ხუმრობა ნუ გგონიათ უცხო ალაგას ღვინო ხარჯი. მარტო დასაწოლი იქნა რომ ვანგარიშით ათი შაური ღამეში, ისიც დიდია, თორემ სასწრაფო საჭმელს აქ ზომ ცეცხლი ეკიდება მიკიტების წყალობით, რადგანაც შეშა იათი ყოფილა.

მაგრამ თქვენი ქირა წაუღია ამ ზემო ჩამოთვლილ ხარჯს, რომ ამ სხეულში ფულის აღებას ერთხელ ანაც მოგწეროდალენ. საქმე იმაშია, რომ ვისაც ერგება ორასი მანეთი, იმან კარგი უნდა თუ ამდენი მანეთის ლოდინის შემდეგ ნახევარი მიწა და ნახევარისთვის კი ისევ უნდა მოაბრუნდეს, რამდენიმე კვირის შემდეგ, რის შედეგად ზემო სხეულში ხარჯია კიდევ, ნეტავი როგორ გვეღირსება ის ნეტარების დღეები, რომ ჩვენი სისხლით და ოფ-

ლით ჩვენვე ვსარგებლობდით და არა ვილაღვადამითელი!!?

თავისუფალი

*** * * მოკლული. მადლობის გამოცხადება.** ბ-ნო რედაქტორო გთხოვთ უმორჩილესათ ეს ჩემი მცირე წერილი დაბეჭდოთ თქვენს პატივცემულ „საქართველო“.

ბათუმის მახლობლად ოცდა ხუთ ვერსზედ ზღვის პირათ არის გადაქმნილი პატარა ქალაქი მოხუცი, სადაც სცხოვრობენ უმეტესი ნაწილი ქართველი მაჰმადიანები; ორმა მათგანმა ბ-ნმა ალა ნიქარაძემ და გული ალა კაკაოლიძემ, რაკი შეზღუდეს, რომ სწავლა განათლება კარგი განძია კაცისათვის, ისურვეს შეიღებოთ თავისი აღზარდათ როგორღმე სასწავლებელში და ეს სურვილი კიდევაც შეასრულეს. ორმა მათმა ვაჟმა გაათავეს გიმნაზია და შევიდნენ ოდესის უნივერსიტეტში, პირველი ნიქარაძის შვილი რედქერ ეფენდი იურდიულ ფაკულტეტში და მეორე გული-ალა კაკაოლიძის შვილი ასლან ეფენდი კაც-ოღლი საექიმო ნაწილში.

ამ უკანასკნელს კაც-ოღლის უმუხტოა ბედმა და დამღევ ქრისტიანობისთვის მძიმე ავადმყოფობამ გამოათხოვა ამ წუთის სოფელს იმ დროს, როდესაც იმისთანა კაცები ჩვენ მაჰმადიანებისათვის საჭიროა. მათმა ამხანაგებმა და პროფესორებმა: უფალმა პეტრიაშვილმა და მელიქი-შვილმა არ მიბარეს მიცვალებულის გვამი ოდესის მიწას და ორი მათი ამხანაგი უფალი ლორთქიფანიძე და ამირაჯიბი გამოაყოფეს დიდის პატივისცემით, რომლის აღწერაც არ შეიძლება. გვამი მიცვალებულის მშვენიერის კუბოთი გამოგზავნეს სამშობლოში ცეცხლის გემით, რომელიც მოასვენეს ქ. ბათუმში ორს ამა იანვარს. ბათუმში დახვდ-

ნენ პატივცემული საზოგადოება ქართველობისა და მოსტყმანებისა, საიდანაც გვამი მიცვალებულისა მოასვენეს ჯამში.

სამს ამა იანვრისას დიდის მატარებლით მიცვალებული წავსვენეთ ქობულეთში. სადაც გამოჰყვნენ: ოკრუგის უფროსი თავადი მელიქონ ლორთქიფანიძე, კაპიტანი თავადი ლევან მიქელაძე, ბათუმის სამსჯავროს ბოქალური სეფე ივანესძე მხეიძე და პოდპორუჩიკი მილიციისა უფალი რედქერ ეფენდი შაში ოღლი. ოთხს ამა იანვრისას გვამი მიცვალებულისა, ურიცხვი ხალხის ქართველების და მაჰმადიანების თანადანსწრებით მივბარეთ მიწას. ბათუმის ქართველთა საზოგადოებისაგან უფალმა სეფე ივანესძე მხეიძემ და რედქერ ეფენდი შაში ოღლიმ დაადგეს მიცვალებულის კუბოს მშვენიერი ცოცხალი ყვავილებისაგან გაკეთებული გვირგვინი, რომელმაც ძირელ გაამხნევა უსაზომო მწუხარებაში მყოფნი მშობლები და ნათესავები მიცვალებულისა. ამისთანა პატივისცემამ ზემოხსენებულის პირებისა სრულიად დაგვივიწყა ძვირფასი კაცის დაკარგვა ჩვენ ნათესავებს და მშობლებს, და ამიტომ გთხოვთ მე, როგორც სიძე ნიქარაძის და ნათესავი კაკაოლიძის თქვენი გაზრდის საწავლებელი უგულისათვის მაღლობა ვუძღვნა ჩემის და მშობლების მხრით ზევით მოხსენებულ ჩვენის უფროსს ძმებს ქართველებს. ამისთანა უზომო პატივისცემა დიდით საგულისხმოა და დაუვიწყარი ჩვენ მაჰმადიანებისათვის.

დავშვები თქვენი პატივისცემული მემკვიდრე მკვანამე

*** * * ს. სამხთი (გურია).** ჩვენ ბურა ზე-კარგი. ჩვენი სოფელი მდებარეობს გურიის დასავლეთ-ჩრდილოეთის ერთს კუთხეში, რომელიც

შორავს ქ. ოზურგეთს ხუთმეტ-მეტ-ვსმეტ ვერსის მანძილზე. აქ ისე გაივლის ხუთი-ექვსი წელიწადი, რომ სამაზრო სამმართველოდან მოხელეს ერთხელაც ვერ შევხვდებით, ან ვის აქვს თავზე ხელი აღებული, რომ ამ სამშინ ტალახიან გზებზე თავი განსაცდელში ჩაიგდოს. მართალია, ერთი გზა მიდის ქალაქ ოზურგეთიდან მიქელ-გაბრიელის სასოფლო სასამართლოზე, რომელსაც მოკეტულს ეძახიან, მაგრამ ვაი ამისთანა მოკეტვას! მოკეტულიც რომ ვარგოდეს, სამხთოზე მაინც ძლიერ დაშორებით არის. მიქელ-გაბრიელში, რომელსაც ჩვენი სოფელი ეკუთვნის, დიდი ხანია დაარსებულია სასოფლო სასწავლებელი, მაგრამ, სამწუხაროდ, სიშორისა (რვა ვერსია), ცუდი გზებისა და წყლების გამო სამხთო-ლებს ამითი თითქმის არ უსარგებლნიან; იშვიათად თუ ამ ასი კომლი კაციდან ორი ან სამი მოსწავლე დადიოდა სასწავლებელში და ისინიც მოზრდილი. ჩვენი სოფელი დიდი ხანია ცდილობდა რაიმე საშუალება მოეხერხებია სკოლის შესახებ, მაგრამ ვერას გახდნენ.

მრევლთაგანი

*** * * ს. ზანა (სამეგრელო).** წინ სვლა. ხშირად ვკითხულობთ ჟურნალ-გაზეთებიდან, რომ ამა და ამ სოფელში დაარსეს ბიბლიოთეკა, სკოლა, კასაო და სხვა. ღვთის ამისთანები, არც ჩვენ გვაქია. რა არა გვაქვს და რას ვაარსებთ!.. აფეთქა გვაქვს ფერწილით და პროვინორით, სამინისტრო სკოლა; იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სამკითხველოც მალე გვექნეს, აგრეთვე შწარსულ თვეს გაგხსენით წერა-კითხვის სკოლა, ამ სკოლის და სამინისტროსი ესტდილობა გადაკეთებას ორკლასიანად. როგორც ხმები დადის,

მგონი არც საბოქალო გვეცოდნება, საკერათ სკოლასაც ვაარსებთ. მაშასადამე, ქალაქ სამხთში შეიქმნა ვაჭარ-სკოლა, რომელიც წინ წავსა ნაბიჯი და წარმატების გზაზე მიეშურება, ასე რომ სხვა სოფელს არ შეუძლია გადმოგვძახოს: „შენ რას შობი გოგიაო“.

— სამკითხველოს საქმე. შემწეობა აღვითქვეს ფულით კიდევ შემდეგმა პირებმა: მღვდელმა ამბაკო ჯავახიამ და ნესტორ ქიოვაძემ სამსამი მანეთი, გახუ კვირიამ 1 მ. პრიმტიკმა კოსტანტინე შენგელიამ, ბესა კაკაიამ, მხეილ კვარცხელიამ, პრიკ. გიორგი ცვაძემ და თომა ბოჯგუმ ნახევარ-ნახევარი მანეთი, ე. ი. უწინდელი (იხ. „საქ. ფურც.“ № 447) 45 მან. 60 კ. და ეხლანდელი 9 მან. 50 კაპ. სრულიად შედგენილა 55 მან. და 10 კაპ.

— სკოლის შესახებ. 1 თებერვალს ჩვენს მაამსახლისს ყრილობა ჰქონდა, მაგრამ, რადგან განჩინებისათვის საკმაო რიცხვი არ შესდგა, მეორე დღისათვის გადაიდგა. მეორე დღეს შესდგა საკმაო რიცხვი და სხვათა შორის გამოცხადეთ წერა-კითხვის სკოლის გახსნის შესახებ, მაგრამ ყრილობამ ცივი უარი სთქვა და განჩინი არ დაადგინა იმაზე, თუ რომ ისინი საჭიროებდნენ ამ სკოლაში, ამ გვარ საზოგადოების კეთილი სქმისადმი გულ-გრილობამ, როგორც ბევრჯერ არ გადნახელი ამ გვარ ყრილობებზე, დიდით გამოაცა, მაგრამ, ნუ იტყვიან, თუ რამე, ერთს ვაჭატონს და მის მამას წინ და წინ დაერწმუნებია საზოგადოება და აეჯანყებია, რომ ვითომც წერა-კითხვის სკოლას არაფერი საზოგადოების მოტანა არ შეეძლებოდა და იმისთანა განაჩენს დაადგენიებდნენ, რომ საუკუნოდ ბევრი რამ

უმრავლესობა მსწავლულთა-კი ასე უჯიდა: ეს ბურთები პატარა ცხოველებიაო, რომელნიც სიცოცხლის მძღვენი და ამოძრავებენ სისხლსაო. ამ ცხოველთაგან შესდგება ჩვენი სხეული და მათ არამც თუ მოძრაობა, სჯა-აზროვნება-კი შეუძლიან. — ამბობდნენ მკორენი.

მამა-კაცთა სისხლის ცხოველები დაუცხრომლივ. მისწრაფიან დედა-კაცთაგანაო და აი აქ არის სწორედ ალთა და კაცთა შორის აღზნებულ სიყვარულის მიზეზიო, — ხმა მაღლა ჰლაღადებდნენ მესამენი. ერთის სიტყვით, ყველანი მრავალს სიცოცხლეს სთხზავდნენ სისხლის შესახებ და მხოლოდ შემდეგმა დაკვირვებამ აღმოაჩინა, რომ ბურთები თავისთავად-კი არა მოძრაობენო, არამედ მჭეფრად მიმდინარე სისხლი იტაცებს მათაო. ამ რიგად, სისხლი ბრწყინვალე გასაქვრეტ სითხისაგან და მასში მოცურავე ურიცხვი ბურთებისაგან შესდგება.

ძნელად წარმოასადგენია, თუ რამდენად პატარაა სისხლის ბურთები. მას ის გარემოებაც ნათელია გვიმოკიცებს, რომ უბრალო თვლით არ შეიძლება მისი დანახვა. თითო ბურთთაგანი დიუმის მესამედი შედგება. ერთის გოჯის სიგრძეზე (13—7) მუცლის ბურთები, მათი რიცხვი უნდა იყოს კაცის სისხლისათვის, კაცის სისხლში

მთელი ლეგიონობით ბუდობენ ოგინი და 25—30 ბილიონს უსდა აღემატებოდეს მათი რიცხვი. პოზ-ბერი ამბობს, სისხლის ბურთები რიგ-რიგზედ რომ დავაწყობთ, ისეთი გრძელი რამ გამოვიდოდა, რომელიც ხუთჯერ შემოეცლებოდა დედა-მიწის ირგვლივ! აქედან აშკარაა სიანს რამდენად პატარაა სისხლის ბურთები და იმავ დროს კი ურიცხვად მრავალი.

ახლა ვიკითხოთ ყოველთვის თანასწორი რიცხვი ამ ბურთებისა კაცის სისხლში? არა, ქალებს, მაგალითად გაცილებით ცოტა აქვთ, ასე რომ ჩვენი ზავების სისხლშიც კი უფრო ბევრია, ვინემ მის დედისაში. ავიღოთ ლონიერი, ჯანმთელი კაცი და სუსტი. პირველს გაცილებით მეტი ბურთები აქვს, ვინემ უკანასკნელს აგრეთვე სოფლის მცხოვრებლებს მოქალაქეებზედ. მაძღრისად საზოგადოება ამრავლებს ბურთებს, ბევრი ღვინის სმა კი პირიქით ამცირებს.

კაცის სისხლი წითელია; მაშასადამე ან სითხეა წითელი ან და სისხლის ბურთები? არც ერთი და არც მეორე. სითხე ძალიან ადვილი გასაცილებელია ბურთებისაგან, ამისათვის საჭიროა: აიღოთ ახალი სისხლი, გინა ბაყაყისაც იყოს, მიუმალეთ წყალში გახსნილი შაქარი და ესრედ არეული ქაღალდისაგან გაკეთებულს ძაბრში გაატაროთ. ბურ-

თები ქაღალდზედ დარჩება, უფერული სითხე კი ძირს გავა, მაშასადამე ბაყაყს უფერული სითხე ჰქონია. კაცს როგორილა აქვს? კაცს ოდნავ მოყვითალო აქვს და ცხენს კი ნამდვილი ლიმონის ფერი.

აქედან აშკარაა სისხლის სიწითლე და მოკიდებული არ არის სითხეზედ, რადგანაც იგი თითონაც უფერულია. მაშ ბურთები თუ აძლევენ წითელს ფერს? მიკროსკოპით რომ დავხედოთ ბურთებს, მოყვითალო ფერისანი არიან და ზოგან ვარდის ფერიც დაჰკრავთ, მაგრამ აქ გასაკვირველი არაფერია: სისხლის სიწითლე მართლაც დამოკიდებულია ბურთებზედ, მაგრამ მას ფერზედ კი არა, არამედ სიმრავლეზედ. ეს სრულიად ადვილი მისახვედრია. კარგად დააკვირდით მაგალითად ფანჯრის შუშას, იგი სრულიად ნათელია და გასაქვრეტია, აიღეთ ახლა რამდენიმე და ერთმანეთზედ მიაწყეთ იგი, ან ლურჯ ფერს მიიღებს ან სრულიად გამწვანდება. ასრევეა სისხლიც: მოყვითალო, უფერული. ბურთებ აურევენ უფერულსავე სითხეში და თავისის ურიცხვის სიმრავლით წითელს ფერს აძლევენ.

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის ბურთები ძალზედ პატარაა, მსწავლულთ მაინც ვაარჩიეს თუ რისაგან შესდგება იგი: უფერულს კვერცხის ცილისაგან და წითელს სამღებროსაგან, რომელსაც გემოგლები უწო-

დებენ. გემოგლებში, გინდა გავიკვირდეთ, რკინეულიც ურევია, რომელიც სიწითლეს აძლევს მას.

აქ უადგილოთ არ ვსთვლით ვცნობოთ მკითხველს, თუ რამდენი მიქმა-მოქმა დაჰბადა ხალხში ამ რკინის აღმოჩენამ. ფრანკუზმა მერიმ აღმოაჩინა თუ არა რკინა კაცის სისხლში, მაშინვე მრავალთ მიუწოდებლს ოცნებას შეუდგნენ. ზოგნი ცდილობდნენ გამოეჩინილ გვამათვის სისხლისაგან გაკეთებული მდლები მიერთშიათ, ზოგნი ხმლისა და ხანჯლის გაკეთებაზედ ოცნებობდნენ და ბოლო არა ჰქონდა ამ გვარს მიქმა-მოქმას. ყველა ეს უმეცარი ოცნებანი ასასრულებლად გვეჩვენებოდა, რომ არ ვიცოდით თუ კაცის სისხლში ამგვარი რკინა ბევრი-ბევრი ერთი მისხალი მოგროვდება. მაშასადამე ერთი გირვანქა ამ გვარა რკინის შესაგროვებლად, ასი კაცის სისხლი საჭიროა. ერთმა მსწავლულმა თურმე კიდევაც შეგაროვა პატარა ნაჭერი ამ რკინისა.

ამბობენ ერთს პარიზელს სტუდენტს აზრად მოუვიდა თავის სატრფოსათვის საკუთარის სისხლისაგან გაკეთებული ბეჭედი ეძღვნა. ამიტომ დრო გამოშვებით სისხლს იშვებდა და გამოჰქონდა საჭირო რკინა, მაგრამ უბადრუკს მოთმინება არ ეყო ერთხელ უეცრივ ბევრი სისხლი გამოეშვა და თან გადაჰყვა. რა გგონია? ფრთხილად რომ მოკეტული-

ყო, შეიძლება კიდევაც მიეხწია თავის სურვილისათვის. ყოველ შემთხვევაში უნდა გვახსოვდეს, ასეთი სახითათო საქმე შეტად საშიშია.

კარგათ დაუკვირდით მიკროსკოპით სისხლის წვეთს. ურიცხვს წითელ ბურთთა შორის, ადვილათ შენიშნავთ სრულიათ უფერულ ბურთებსაც, რომელნიც მუდამ იცვლიან სახეს და თეთრ ბურთებად იწოდებიან. ამ გვართ სისხლში წითელ-ბურთთა შორის, თეთრებიც ჰრევია. ჯანმთელის კაცის სისხლში ას წითელს ბურთზე ერთი თეთრია. კაცს სრულიად უბრალო საშუალებით შეუძლიან დაწმუნდეს ამის სინამდვილეში. საჭიროა ამისათვის ახალი სისხლი კარგა ანჰეიოთ, მერე ჩაახათ გრძელს და ვიწრო შუშის ტუბკელში. ცოტა ხნის შემდგნ შეამჩნევთ ზევით მოგდებულს წითელს სითხეს, ცოტა ქვემოთ თეთრს ბურთებს და ძირს კიდევ წითელს ბურთებს. რომ შეადაროთ სისქე ამ ნაწილებისა, ადვილად მიჰხედებით, რომელი მათგანი უფრო მეტია.

შ. ფრთელი

(დასასრული იქნება)

გადასახადი დაედებოდათ, მაგრამ ბოლოს (ამ ვაჭარებთან სამარცხენოდ რომლებიც პირადის ინტერესებისა და ჯიბის გასკელებისთვის აჯანყებდნენ ხალხს), როცა შეიტყო საზოგადოებამ, მის სარგებლობაში დარწმუნდა, დიდად მოხარული შეიქმნა და მეორე დღესვე გაეხსენით წერა კითხვის შკოლა და ამ დროებით 58 მოსწავლე არის, მაგრამ, როგორც ღარიბნი, სასწავლო ნივთებს მოკლებულნი არიან და ამისთვის ვსთხოვეყველმოქმედ საზოგადოებას და პირთ (უფრო კი ბ. იაკობ გოგებაშვილს და „წერა-კითხვის გამ. საზ.“), რომ აღმოაჩინონ შემწეობა, როგორც სამკითხველოსათვის, აგრეთვე შკოლისათვის. აღრესი: Черезъ м. Зуглиды и Хоби въ сел. Зана Николаю Беридзе.

ნიკო ბერიძე

რედაქციისაგან

ფოტოფი. მიხაკს ჩვენ ჩვეულებად გვაქვს, როცა ვისიმე მოქმედებას ვიცნავთ. ვინაობაც ვიცოდეთ განკითხულისა. თქვენ მიერ მოწოდებულ წერილში ჩარჩის ვინაობა არა სჩანს, მაინც არ დაბეჭდვება, სანამ მის ვინაობას არ შეგვატყობინებთ.

პერიკლიაზი. ახალ ქუჩელს. საკამათო საგანი მეტის მეტად უმნიშვნელოა, რომ მაგზე ბევრი წერა და ბაასი იყოს საჭირო, იმიტომაც თქვენი წერილი აღარ დაბეჭდვება.

გოგალაზი. გ. თ.—ს. თქვენი წერილი ჩვენს გაზეთში მოუხერხებელია „მწყემსის“ რედაქცია ამ წერილს ვითარცა სასულიერო შინაარსისას, სიამოვნებით დაბეჭდვას.

„ახალი მკითხველის“ საზოგადოება

გუშინ-წინ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში მოხდა წიგნების გამომცემელ-ამხანაგობის ახალი მკითხველისაზოგადო კრება. როცა საზოგადოება ბლომად მოგროვდა, არჩეულ იქმნა თავჯდომარედ ბ. გ. ლასხიშვილი და კრება გაიხსნა საღამოს 8 1/2 საათზე. თავდაპირველად წაკითხულ იქმნა 1897 წ. 23 დეკემბრის კრების მიერ არჩეულ საგანგებო სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომლის კითხვამ თითქმის ერთ საათს გასტანა. მოხსენებამ წარმოგვიდგინა ვრცელი და დაწვრილებითი კრიტიკა ამხანაგობის შარშანდელ მოქმედებისა და საკმაოდ გამოგვიჩვენა ამხანაგობის დაცემის უმთავრესი მიზეზები. როგორც მოხსენებრიდან სჩანს, „ახალი მკითხველის“ მოქმედების შეფერხებაში ბრალი მიუძღვის თითქმის ყველა ორგანოებს ამხანაგობისას; მაგრამ უმთავრესი ბრალი ამ მხრივ ედება ამხანაგობის გამგეობას, რომელსაც მეტის-მეტად უთავბოლოდ უწარმოებია საქმეები, ფულები უზო-უკვლოდ უფლანგავს და თავისი ჯამაგირებისათვის მოუწოდებია, და შემდეგ კი სარევიზიო კომისიას, რომელიც პხელად ამხანაგობის განსაცდელს და არ ზრუნავდა მის თავიდან ასაშორებლად შესაფერი ზომების მიღებაზე. მოხსენების წა-

კითხვის შემდეგ თავმჯდომარემ, რა გაიგო, რომ მოხსენება გამგეობის განუხილველად ექმნა კრებას წარდგენილი და რომ გამგეობა კრებაზე არ იმყოფებოდა, საჭიროდ დაინახა, წარედგინოს მოხსენება გამგეობას, რომელმაც მის შესახებ თავისი აზრი უნდა გვაცნობოს. მაგრამ რადგანაც მოხსენება ეხება არა მარტო გამგეობას, არამედ ამხანაგობის ყველა ორგანოების მოქმედებას, ამიტომ კრებამ ხანგრძლივი კამათის შემდეგ დაადგინა ხმის უმეტესობით: გამოქვეყნებულ იქნეს გაზეთების შემწეობით მოხსენების შინაარსი და მასში აღნიშნული ფაქტები, რომ შემდეგ ამხანაგობის ორგანოებმა თუ საჭიროდ სცნობენ, ბეჭდვითვე გამოსთქვან თავიანთი აზრი მოხსენების შესახებ. მოხსენების შინაარსის შედგენა გაზეთში დასაბეჭდად მიენდო თვით ავტორებს მოხსენებისას. ამის შემდეგ თავმჯდომარემ მიმართა წარსულ კრებაზევე ამორჩეულ მეორე კომისიას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ამხანაგობის ახალი ორგანიზაციის პროექტის შედგენა, და სთხოვა წარმოედგინათ თქვენი პროექტი. მაგრამ კრებაზე გამოითქვა ის აზრი, რომ სანამ არ დამტკიცდება ამხანაგობის შარშანდელ ორგანიზაციის უფარგისობა, საჭირო არ არის ახალი ორგანიზაციის პროექტის განხილვა, რადგანაც შეიძლება ამხანაგობის დაცემა სრულიად არ იყოს გამოწვეული მისი ორგანიზაციის უფარგისობითა. ამ მოსაზრების ძალით საგანგებო საორგანიზაციო კომისიის წევრმა ბ-ნმა ნ. ჟორდანიამ უსაყვედურა საგანგებო სარევიზიო კომისიას: ამხანაგობის შარშანდელ ორგანიზაციის ღირსება-ნაკლულევანება არ გაქვთ განხილული თქვენს მოხსენებაში, და შემდეგ სთხოვა სიტყვიერად მაინც გამოსთქვით თქვენი აზრი ამ საგანზე.

საგანგებო სარევიზიო კომისიის წევრმა ბ-ნმა ს. გრიანოვმა აღნიშნა ამხანაგობის ორგანიზაციის ღირსება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ხსენებულ ორგანიზაციის შემწეობით მოსახერხებელი ჰხდება წიგნების საჩქაროდ და ფართოდ გავრცელება, რადგან ხელის-მომწერთ ყველას ურიგდება ამხანაგობის გამოცემები. მაგრამ იმავე კომისიის მეორე წევრმა ბ. ვაწაძემ აღნიშნა ამხანაგობის პროექტის ერთი მუხლი, რომელიც ამხანაგობის ორგანიზაციას დიდ ნაკლულევანებად ჩათვლიდა; ამ მუხლის ძალით, ამხანაგობის წევრთ უნდა გაეზავნათ ამხანაგობის-მიერ წლის განმავლობაში გამოცემული წიგნები, ე. ი. განსაზღვრული არ არის წევრთათვის გასაგზავნი წიგნების რაოდენობა, ასე რომ ამხანაგობამ ერთი წიგნიც რომ გამოსცეს წლის განმავლობაში, წევრი იმასაც უნდა დასჯერდეს. ეს მუხლი კრებამ ფრიად უფარგისად სცნო, რადგან მისი წყალობით ამხანაგობის წევრნი მოტყუებულნი დარჩნენ. მიელოდნენ საწევრო საფას წიგნებს, მიიღეს მხოლოდ 1 მ. 10 კაპიკად ღირებული წიგნები და ახლა უფლება არა აქვთ მოითხოვონ სრულ-

ლი დაკმაყოფილება. კრებამ ამ გამგეობაზე დიდი უკმაყოფილება განაცხადა, შემდეგ მთელი შარშანდელი ორგანიზაცია უარ-ჰყო და დადგინა შეიცვალოს იგი ახალი ორგანიზაციითა, ხოლო ძველი ამხანაგობა გაუქმდეს. ამის შემდეგ, რადგან დაგვიანებული იყო (ღამის 12 ს.), კრება დაიხურა და გადადებული იქმნა მომავალ კვირისათვის (29 მარტი), როდესაც კრება განიხილავს ახალი ამხანაგობის პროექტს.

სევ—ლი

სამეურნეო კნობანი

ქათმების სურდა და მისი რჩენა. სურდას ნიშნობა: მხარ-მხარა ცხვირის ცემინება, ფიოთული წვეტილი, თავის სშირ სშირად ქნება და ტკავილი. გასაფრთხილებლად საჭიროა: სიცივი-საგან გაფრთხილება და თბილი საჭმელი. სარჩენათ კარგაა „სლორისტიკა“ და „ნესტორი“. იპყათათ შეითხვევებას სსუსთქებლად აძლევენ დუღებულს ფასს და ნესტორზე უსაშუალოდ გასეღის (აფთქაქში აშოგება) სს რამდენიმე ქანთ.

ბ. გაბო

განცხადებანი

ქპრივი ქალი

მამბს

მოსამსახურის ადგილს

(ოჯახში)

მოიკითხონ: წყნეთის ქუჩა, ალექსი შესტაკოვის სახლი, № 19. (5—2)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაო ს. ცნობელად, რომ 24 მარტს, ნაშუადღევს 1 საათზედ გამგეობის დარბაზში **საჯარო ვაშრობა** დანიშნული. იჯარით გაიცემა ქალაქის ის დუქნები და საზღაფები, რომლებიც ქრეკნის მოედანზეა. დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობაში მუდამ დღე, უქმე დღეებს გარდა, დღის 12 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდე. (3—3)

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში იყიდება ფას-დაკლებით გრ. ტატიშვილის შემდეგი სურათებიანი საყმაწვილო გამოცემანი:

- 1, გედეგი 10 კ.
 - 2, ხუშარა სვილოვაი 10 კ.
 - 3, კეთილი ძალი 10 კ.
- ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ 50 ცალისა, წიგნი დაეთმობა 8 კაპ. აქვე იყიდება ფოსტის ქალაქი ერეკლე მეფისა და ი. ჰეპტავაძის სურათით, ექვსი თაბახი—10 კ. (10—3)

საზღვევი საზოგადოება
„ი ა კ ო რ ი“
შეაღმოსადა დაბტყაგებული 1872 წელს მოსკოვში

ტფილისის უმთავრესი სააგენტო
დუბულობს:
დაზღვევას ცეცხლისაგან
ყოველ-გვარ უძრავ და მოძრავ ქონებისას.
დაზღვევას სიცოცხლისა და თანხებისა
შელავთიანის პირობებით, მაგალითად შელავთი იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს შრომა არ შეუძლიან და აგრეთვე დაზღვეულს სარგებლობა ეძლევა საზოგადოების მოგებიდან.

დაზღვევა უზღუდო შემთხვევისაგან
მიიღებიან საერთოდ დაზღვევა მუშებისა, ქარხნებისა და სახელოსნოებში, აგრეთვე დაზღვევა კერძო პირობისა.

დაზღვევა გაზაფხილ საჰონელებისა
ზღაზღედ, მდინარეებზედ თუ ხმელეთზედ, აგრეთვე დაზღვევა გემებისა.

თსოვნებით და ყოველ-გვარ ცნობათა შესატყობად დაზღვევაზე შეიძლება მიჰმართონ ტფილისის კონტორაში უმთავრესს აგენტს ალექსანდრე გრიგოლის-ძეს სერგეევს, ერეკნის მოედნის ყურში, თავ. ციციშვილის სახლებაში № 2. და აგრეთვე მოსკოვში საზოგადოების გამგეობაში.

Страховое Общество „ЯОРЪ“
Высочайше утвержденное въ 1872 г. въ Москвѣ
Принимаетъ: 1)Страхование отъ огня, 2) страхование жизни и капиталовъ. 3) страхование отъ несчастныхъ случаевъ и 4) страхование транспортныхъ.
Контора Тифлискаго Главнаго Агента, Александра Григорьевича Сергѣева
на углу Эриванской площади, д. кн. Цицианова № 2.
(50—8)

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на газету
„С В ъ Т Ъ“
съ „приложеніемъ романовъ“
съ пересылкой и доставкой:
На четверть года: безъприложеніа

съ 1 января по 1 апрѣля		
„ 1 апрѣля по 1 іюля	2 р.	1 р.
„ 1 іюля по 1 октября		
„ 1 октября по 31 декабря		
На полгода:	4 —	2 —
съ 1 января или съ 1 іюля		
На девять мѣсяцевъ:	6 —	3 —
съ 1 апрѣля		
На годъ:	8 —	4 —
съ 1 января		

На иные сроки подписка не принимается.
Примчаніе: Подписка на „Приложеніе Романовъ“ къ газетѣ „Свѣтъ“ принимается лишь одновременно и нераздѣльно съ газетою на одинъ и тотъ же срокъ. Лица, выписавшія одну газету, могутъ получить впоследствии „Приложеніе Романовъ“ не иначе, какъ выписавъ новый экземпляръ газеты съ „приложеніемъ“.
Адресъ редакціи: СПБ., Невскій, 138.
(12—10) Редакторъ-издатель В. В. Комаровъ.

Открыта подписка на 1898 г. (V г. изд.)
на еженедѣльный иллюстрированный
безъ предварительной цензуры
ЕКОНОМИЧЕСКІЙ и СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННЫЙ журналъ
ХОЗЯЙСТВО

Въ 1898 г. журналъ будетъ издаваться по той же программѣ, въ томъ же объемѣ и при томъ же составѣ редакціи и главныхъ сотрудниковъ, что и въ предыдущемъ году.—Годовые получаютъ въ 1898 г. бесплатно:
1. Сборникъ статей по сельскому хозяйству—И. А. тебута.
2. Руководство пд огородничествомъ—М. В. ытова Вып. III.
3. Шесть проектовъ сельско-хоз. построекъ (въ краскахъ).
Новые подписчики могутъ получить первые два выпуска „Руководство по огородничеству“ М. В. Рытова вмѣсто 1 р. 20к. за 80 к.
На годъ 6 руб., на полгода 3 р. съ перес. Разсрочка 1 р.
Ред. А. Мертваго. Петербургъ, Невскій, 92. Изд. И. Машковцевъ.
(12—12)